ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 209

ქალაქი ქუთაისი 20 აგვისტო 2019 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის
14 მარტის №61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 მარტის N61 განკარგულებაში, კერძოდ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის №329 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1	2	3	4	5	6	7	8
329	მეორადი ნედლეული (შავი ლითონი)	ქალაქი ქუთაისი, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა N65 (მერიის სასაწყობე ფართი)	28 ტონა	შავი ლითონი	380 ლარი (1 ტონა)	–	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №331 – №336 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2019 წლის 20 აგვისტოს
№209 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და

სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

N	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით, ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
331	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირის I შესახვევი N2-ის მიმდებარედ	57.0	03.06.25.656	100.0 (1კვ.მ.)	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
332	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირის I შესახვევი N2-ის მიმდებარედ	181.0	03.06.25.655	100.0 (1კვ.მ.)	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
333	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, გუგუნავას ქუჩა N15-30-ის მიმდებარედ	72.0	03.05.27.291	44.0 (1კვ.მ.)	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
334	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ფოთის ქუჩა N40-ის დასავლეთით (ნაკვეთი N1)	2100.0	03.06.21.634	100.0 (1კვ.მ.)	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
335	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ფოთის ქუჩა N40-ის დასავლეთით (ნაკვეთი N2)	1975.0	03.06.21.635	100.0 (1კვ.მ.)	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
336	შენობა-ნაგებობა	ქალაქი ქუთაისი, გუგუნავას ქუჩა N10ბ	მიწა -1478კვ.მ. შენობა-ნაგებობა N1-N5	03.04.30.444	223 000.0	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია